ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №53

9 სექტემბერი 2013 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის №175 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ თინათინ ალავიძე (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ შპს „დეკორი" დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირი (შემდგომში მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საქართველოს კანონის 20[2] მუხლის „საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვების კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ" 2013 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON130000021) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: პირველი ხარისხის ფორმატის საბეჭდი ქაღალდი „COPY POWER" 70 (სამოცდაათი) ცალი (500 ფურცელი) ,ერთეულის ფასი შეადგენს 5.13ლარს (cpv 30197630)

2. კოდი საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2 დღის ვადაში

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 359,10 (სამასორმოცდაცხრამეტი ლარი და 10 თეთრი) ლარს.

3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: დირექტორი: თინათინ ალავიძე.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების ყველა პირობა და განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უმაღლეს დონეზე.

5.3 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ქ.თბილისის №175 საჯარო სკოლის დირექტორი: თინათინ ალავიძე.

7.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშკრულების პირობების დარღვევისას

7.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემ|თხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შემდეგ იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

8.4 მხარე ვალდებულ;ია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა ურთიერთშეთანხმების გზით.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდედლობის შესაბამისად.

10.ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები, ომები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა) თუ ისინი უშუალო ძემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისის დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.მხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება კანონმდებლობით.

11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მომწოდებელი
სსიპ ქალაქ თბილისის	შპს „დეკორი"
№175 საჯარო სკოლა ს/კ 200087191	
მომსახურე ბანკი: ბანკი "რესპუბლიკა"	ს/კ 203868635
ბანკის კოდი: REPLGE22	სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ა/ნ GE75BR0700003408002615	ბ/კ BAGAGE22
მისამართი: ქ.თბილისი მუხიანი მე-3 მ/რაიონი	ა/ა GE41BG0000000211219900
ტელეფონი: 264 53 07	მის: ქ.თბილისი აკაკი ბელიაშვილის ქ.63
	ტელ: 2 24 05 05 (599100474)
დირექტორის მ/შ	დირექტორი:
თინათინ ალავიძე	დიმიტრი კვეკვესკირი
თ.ალავიძე	
---	---